

კედაქცია: სოლოლაკზე, სერ-გიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლში, № 8.

კანტორა კედაქცია: სერ-გიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Типографіи. Въ редакцію газ. „Дროаბა“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

უკველ დღე ორშაბათს გარდა

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—11 კაპ., მალი-მთავრებით ცტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის სიკვროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაშრათ

კედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდელთ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

## კედაქციისაგან

თუშცა ყოველ ნომერში ვაცხადებთ, რომ ნახევარი წლის გაზეთის ფასი არის 4 მან. და 50 კაპ., მაგრამ ხელის-მომწერლები მაინც კიდევ უფრო ხშირად მარტო 4 მან. ცხადებენ.

ამის გამო უმორჩილესად ვთხოვთ იმ ნახევარის წლის ხელის-მომწერლებს, რომელთაც 4 მან. გამოუგზავნიან, დანარჩენი ათი შაურცი გამოგზავნონ (ფორტის მარკებით ან ვერცხლით); წინააღმდეგ შემთხვევაში იმათ მომავალი ივნისიდან მოესაზრებთ გაზეთის გზავნა.

ომავალ 1878 წელს გაზეთი

## „დროება“

გამოვა იმავე პროგრამითა და მიმართულებით, როგორც დღემდე გამოდიოდა ხოლმე.

ამ უკანასკნელი ნახევარი წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა ჩვენ, რომ ყოველ-დღიური გაზეთი ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და ამიტომ

ომავალ წელსაც „დროება“ მუდამ დღე გამოვა,

გარდა ორშაბათისა და უქმეების შემდეგ დღეებისა.

ხელის-მოწერა

თ ფ ი ლ ი ს შ ი — „მიიღება დროების“ რედაქციაში (სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირაგოვის სახლში).

ბარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Типографіи. Въ Редакцію „Дроаба“.

ფასი გაზეთისა

მთელის წლისა . . . . .	8 მან.	„ კაპ.
მქესის თვისა . . . . .	4 „	50 „
ოთხის თვისა . . . . .	3 „	„

მხოლოდ ამ ვადებით შეიძლება მომავლის წლიდან გაზეთის დაბარება. უმორჩილესი თხოვნა ხელის-მომწერებსა და აგენტებს: ხედავთ უფლი გაზეთისა იმის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს გამოგზავნილი; თუ არ თავის აგენტების საწულებით, ისე რედაქცია უფულოთ გაზეთს არავის არ გაუგზავნის.

## ტელეგრაფები

ბრძოლის ველიდან

ბოგოტი, 21 დეკემბერს. (ოფიციალური). მემკვიდრე იწერება, რომ 19 დეკემბერს ჩვენმა ატრიალებმა, რომელნიც სენეკიოსის, შარასანკიოსის, ხაიდარკიოსისა და შიასლარის დასათვალისწინებლად იყვნენ გამოგზავნილნი, ნახეს, რომ ეს ალაგები მტრისაგან არიან დაჭერილნი.

მდ. შარა-ლომის ხიდებსა და შუმლის გზას დიდ-ძალი ოსმალის ჯარი იცავს.

ღუწიანზე ფართო და სქელი ყინული მოდის; მთებშიაც საშინელი ყინვა.

ბოგოტი, 21 დეკემბერს. (ოფიციალური). რვა დღის მოგზაურობის შემდეგ, ღენ. შურკოს არმია, რომელმანც, ამ ყინვე-

ბის, მთების გზებისა და ქარიშხლის გამო, წარმოუდგენელი გაჭირება გამოიარა, — ბოლომდე დავიდა ბალკანის მთებზე, დაეშვა სოფლის ჭალას და 19 დეკემბერს ამ კორპუსმა, გაცხარებული ბრძოლის შემდეგ, აიღო: გამოგზავნილი პოზიცია დერშაშკიხენი, ერთს პოზიციას გარდა.

20 დეკემბერს ჩვენმა ჯარებმა დაიჭირეს არაბ-ქონალი და შანდარნიკი და გაირეკეს წინ ოსმალოები პეტრიჩევოსაკენ; გვარდიის ჯარი ბასსოვოსა და ჩეოიაკიოსისაკენ გაემგზავრა.

მართი ნაწილი ჯარებისა დღეს ისვენებ; დანარჩენი ჯარებით კი თვითონ ღენ. შურკო მიდის პირ-და-პირ სოფიისაკენ.

მტროპოლის ატრიალი 21 დეკემბერს ღენ. ბროკას ატრიალს უნდა შეერთებოდა იმ განზრახვით, რომ პეტრიჩევის გზა შეეკრათ ოსმალებისათვის

19 დეკემბერს ჩვენის მხრით 700 კაცი დაჭრილი და მოკლული; დაჭრილებში ურევია ლენერალი მარკოვიჩი, რომელსაც კისერში მოხვდა ტყვია.

ბოგოტი, 22 დეკემბერს. (ოფიციალური). ძალიან გაცხარებული ბრძოლა იყო 16 დეკემბერს სერბიელებისა და ოსმალოების ბრძოლა პიროტთან. ოსმალოს ატრიალმა სოფიისაკენ დაიწია; მტერს 900 კაცი ჰყავს დაჭრილ-მოკლული და 24 ზარბაზანი წაართვეს. ოსმალოს ატრიალის ფაშა დაჭრილი იყო და გაიქცა. სერბიელებსაც ძვირად დაუჯდათ ეს გამარჯვება: იმათის მხრით 700-ზე მეტია დაჭრილი და მოკლული.

ბოგოტი, 20 დეკემბერს. (ოფიციალური). 16 დეკემბერს სერბიელებმა აიღეს პიროტი. მას შემდეგ მოხდა: ბაბინის-მლავეისა და წმ. ნიკოლოზის ალების შემდეგ, სერბიელებმა ძლიერი ატრიალი გაგზავნეს ბაზინთან დალის ბანაკისაკენ, რომელიც ჩრდილოეთით იფარავდა პიროტს. ბანაკი მდ. ნიშავის ორივე მხრივ ჰქონდათ ოსმალოებს გამართული, და რადგან ის ძალიან გამაგრებული ჰქონდა მტერს ლოქვენტებითა, ამის გამო გადაწყვიტეს, რომ ჯერ აკ-პალანკას მისდგომოდნენ იერიშით და შემდეგ პიროტს.

12 დეკემბერს დაიწყო აკ-პალანკაზე მისვლა. სერბიის ჯარის მარცხენა ხარმამ, მტრის მოსატყუებლად, დაუშინა ზარბაზნები ბაზინდამდე; ამ დროს მარჯვენა მხარმა აიღო აკ-პალანკა. რეზერვი კი ბაბინის-მლავეზე იყო დაყენებული.

14 დეკემბერს სერბიის ჯარის მარჯვენა მხარი აკ-პალანკადამ პიროტისაკენ გაელაშქრა; 15-ს, დილის 8 საათზე ოსმალოს პოზიციებზე მივიდა იერიშით და აიღო ბოლატა და ბელი-აგო, სადაც ღამე გაათიეს. ამგე დროს მარცხენა ფლანგი მეორე მხრით მიადგა მტრის პოზიციას, აიღო სტანეჩკა და შეუერთდა მარჯვენა ფლანგს.

16 დეკემბერს გათენებულამ შეიქნა ხელახლად სროლა. 11 საათზე სერბიის ჯარის მარჯვენა ფლანგმა აიღო პიროტი, რომლის მოქალაქეები და სამღვდლოება მიეგება ამათ. მარცხნივ მხარს დიდ ხანს ჰქონდა ბრძოლა მტერთან, რომელმანც მხოლოდ მაშინ დაიწია, როდესაც შეიტყო, რომ მეორე ჯარმა სერბიისამ პიროტი უკვე აიღო.

სერბიელების მხრით 50-ზე მეტია მოკლული და 150-მდე დაჭრილი. ოსმა-

ლოებს, რომელთაც 6 ტაბორი ჰყვანდა, უფრო მომეტებული ზარალი მიეცათ; ბოძოლის ველი იმათი დახოცილებითა და დაჭრილებით არისსავსე, სერბიელებმა 23 ზარბაზანი წაართვეს მტერს.

**ბოგოტი, 21 დეკემბერს.** 18 დეკემბერს მოვიდა ამბავი, რომ დასავლეთი ატრიადი ჩვენი არმიისა ბაბა-ჟონალამდინ მისულა და აქედამ პირ-და-პირ არაბ-ჟონალისაკენ აპირებს წასვლასაო. 17 დეკემბერს ოსმალოს ჯარს მიუტოვებია ლიუტინოვო, რომელიც ამ ქაზად ჩვენებისაგან არის დაჭერილი.

მთებში საშინელი ტაროსია. მღ. დუნაიზე კიდევ ყინული მოდის; მალე მთელი მდინარის გაყინვას მოელოან.

**ბუხარესტი, 20 დეკემბერს.** აქ მოიყვანეს 4,200 ოსმალოს ტყვე; ამბობენ, რომ ჭრატეშტში მყოფ ტყვეებს შავი ყვავილი გაუჩნდაო; ეს ავთიმყოფობა განსაკუთრებით ბავშვებს სწყვეტს; ზოგიერთ ტყვეებსა თავიანთ ცოლ-შვილი წამოჰყვია. ჩვენი მთავრობა ღონისძიებას ხმარობს, რომ ეს ავთიმყოფობა მოსვას.

ოსმან-ფაშა დღეს მიჰყავთ რუსეთში; იმას დროებით პიევი დააყენებენ.

# ოსის ამბავი

## აზიის ბოძოლის ველიდა

არზრუმშიდამ არაფერი ამბავი არ მოდის; მაგრამ სანამ ისეთი საშინელი სიცივეები და ყინვა იქნება იქითკენ, როგორც იწერებიან, არც კი უნდა მოველოდეთ რასმე ამბავს.

პირველი განზრახვა რუსის არმიისა, როგორც უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებიან, ამ ქაზად ის არის, რომ ტრაპიზონის გზა შეუკრას არზრუმს; როცა ამას მოახერხებენ, ე. ი. როცა არზრუმში მყოფ ოსმალოს გარნიზონს ყველა გზები შეკრული ექნება, მერე ამ ქალაქს ზარბაზნების დაშენას დაუწყებენ და იერიშით მიაღებინან ასაღებათ.

რუსული გაზეთები დარწმუნებით ამბობენ, რომ ყველა ამ საქმის შესრულებას, რუსების მხრით მხოლოდ ცუდი ამინდი აბრკოლებსო. მაგრამ ზოგიერთი ინგლისური გაზეთები წინათაც იწერებოდნენ და ახლაც იწერებიან, რომ არც ისე ადვილი იქნება არზრუმის აღებაო, მუხთარ-ფაშას საკმაო ახალი ჯარები მოუვიდა, კიდევ მოეღისო, ჩინებულად გაამაგრა ეს ქალაქიო და თვისთან მცხოვრებლებიც თავ-განწირულად იომებენო, როცა რუსები მიაღებინან არზრუმს ასაღებათაო და სხვ.

ჩვენ მივიღეთ ხუც-შანის პოზიციი-დამ შემდეგი ამბავი: მოგვხსენებთ, რომ ღენ. ძომაროვი

არტანის ატრიადით მოდის არდანუ-ჯიდამ ბათუმისაკენ. ჩვენც აქედამ უნდა მივადგეთ ამ ჩინებულ ნავ-სადგურს. მაგრამ ამ საგნის თაობაზე არავითარი ბრძანება არ მოგვსვლია და არც არაფერი განკარგულება მოუხდენიათ ჯერ აქ. ვდგევართ ისევ ფეს-მოუცვლელად ხუც-შანის ბანაკებში და, თუმცა, ღერვიშ-ფაშის წყალობით, ჩინებული ბარაკები და ქოხები გვაქვს, მაგრამ ისეთი საშინელი სიცივეებია ამ ქაზად აქეთკენ, რომ მაინც ვიხრუკებით...

„მე არ შემძლიან წარმოვიდგინო—რა დაგვემართებოდა ჩვენ, რამდენი ჩვენგანი არ გადურჩებოდა ამ სიცივეებსა და იმისაგან წარმომდგარ სხვა-და-სხვა ავთიმყოფობას, თუ რომ ღერვიშ-ფაშას არ კეთილ-ენება ხუც-შანის დამოხდა და ჩვენ ისევ მუხა-მსტატეზედ დაგრჩენილიყავით ამ ზამთარში! სწორეთ აქ, ხუც-შანში გადმოვლის წინა-დღეებში დავიწყეთმუხა-მსტატეზესაზამთრო ქოხების კეთება და სანამ გავაკეთებდით, მგონი ნახევარი ჩვენგანი ცოცხალი აღარ გადარჩებოდა.

„ახლა კი, როგორც ზევით მოგახსენეთ, ღერვიშ-ფაშის თბილს, ბუხრიან, სუფთა ქოხებში ვართ დაბანაკებული მოსვენებით, შეუშფოთებელად. მხოლოდ ხან-და-ხან ჩვეულებრივად, ძველებურად მოგვეპარებიან ქობულეთლები და აგვიტყვენ სროლას; სამაგიეროდ, რასაკვირველია, არც ჩვენ ვაკლებთ ხელს...“

„რეიტერის ტელეგრაფის სააგენტო-ში“ დაბეჭდილია შემდეგი ღებეშა 7-ს დეკემბერს არზრუმშიდამ მიღებული:

„მომეტებული ნაწილი ალექსანდრა-პოლის კორპუსისა ამ ქაზად საღანოულის აქეთ არის დაბანაკებული ღვებოინზე და იმის ახლო-მახლო სოფლებში. ამ უკანასკნელ დღეებში შარსიდამ არზრუმისაკენ კიდევ 10 ბათალიონი გაგზავნეს რუსებმა. ბაიანეთის ატრიადის (?)კამანდირი ღენ. ტერ-ლეკასოვი 12 ბატალიონის ჯარით ბათუმისაკენ წავიდა (?).“

## ვეროპის ბოძოლის ველიდა

ნემეცურს გაზეთს „National Zeitung“-ს მოსვლია 10 დეკემბერს შემდეგი ღებეშა სტამბოლიდამ:

„ნამდვილად ამბობენ, რომ სოჭიაში მყოფ ოსმალოს ჯარს აქედამ (სტამბოლიდამ) ბრძანება მიუღიაო, რომ დაუყოვნებლივ მიატოვონ ეს ქალაქი და აღრიანოპოლისაკენ დაიწიონ. ხმა არის, ვითომც ოსმალებმა ჯერ გადასწვეს მთელი ქალაქი სოჭია და მერე წავიდნენო.

„ამ დღეებში სულეიმან-ფაშას მთელი თავის არმიით მიეღიან აღრიანოპოლში.“

სტამბოლის გაზეთი „La Turpuie“ გვაცნობებს, რომ აღრიანოპოლთან ოსმალებებს უკანასკნელი 140,000 კა-

ცი ეყოლებათ დაყენებული და 400-ზე მეტი ზარბაზანიო. ოსმალოთს სწამედრო მთავრობას იმედი აქვსო, რომ ამ ჯარით გააჩერებს ის რუსებს, რომელნიც, უქვეყლია, ახლა სოჭიისა და აღრიანოპოლისაკენ გამოსწევენო.

ამავე გაზეთის სიტყვით, იმ 300,000 კაცი, რომლისაც ახლად მოგროვება გადაწყვიტა პორტამ ამ ომისათვის, ორისამი თვის განმავლობაში უკანასკნელი 100,000 კაცი ეყოლება სრულიად დამზადებული ბოძოლის ველზე გაჩოსას-ველელათაო; და ამ ნაირად ოსმალეთს ჯერ კიდევ არ დაჰკარგვია იმედი, რომ ის, სხვა სახელმწიფოს შეუწყენლად, მოახერხებს თავის ქვეყნის დაცვასაო...

შენის გაზეთს „Presse“-ში დაბეჭდილია შემდეგი ღებეშა, რომელიც ამ გაზეთს 11 დეკემბერს მიუღია სისტოვოდამ:

„რუსის ტახტის მეკვიდრის არმია მღ. ლომზე გადავიდა; იმის მარცხენა მხარმა დაიჭირა გზა, რომელიც რუჩუქიდამ პიზანცას მიდის.“

„რუსჩუკსა და მარნას შუა რკინის ზა შეკრულია.“

„ჭირშის სააგენტო“ გვაცნობებს, რომ რუსის ჯარებმა ამოთხარეს პლეგოში მიწილამ 25 ზარბაზანი, რომელიც ოსმან-ფაშის არმიას დაეფლა იმ განზრახვით, რომ მტერს აღარ ჩავარდნი და ხელშიო.

## დღიური

† დღეს, 22-ს, ღამე, ჩვენს ქალაქში გარდაიცვალა მფილისის გუბერნიის თავად-ზნაურთა წინამძღოლი ღენ-ადიუტ. თ. რივაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი.

## ოსურბათის

### სასულიერო სასწავლებელი

მრავალ-ჯერ გამიგია საჩივარი ზოგიერთ პირებისაგან ოსურბათის სასულიერო სასწავლებელზედ.

მე არ შემძლიან დაწვრილებით ავიწეროთ ყველა ეს ნაკლულევენება; მოგახსენებთ მხოლოდ მოკლე სიტყვით—თუ რაში მდგომარეობს მიზეზი ჩვენი სასწავლებლის დაცემისა.

უპირველესი მიზეზი არის ისა, რომ მას არა ჰყავს მასწავლებელი: ქართულის ენისა და მოსამზადებელი კლასისა; ამასთანავე არა აქვს სასწავლებელს საჭირო მასალები, ურომლოთაც არ შეიძლება სწავლა წავიდეს ხეირიანად, მთავრ კლასის დაფები, მელი, ღრუბელი, წიგნები, კარტები და სხვ.

# უცხო ქვეყნები

## საზრანგეთი

ახალი სამინისტრო ისეთს გარემოებებში შესდგა, რომ საფიქრებელია ეს უფრო ხანგრძლივი იქნება, ვიდრე აღჩინდელი სამინისტროები, რომელთაც ზოგიერთებს ერთს დღეზე მეტი არ უცხოვრიათ. ამის გამო მოგვეყავს აქ მოკლე ბიოგრაფიული ცნობები ამ სამინისტროს წევრებზე:

**დეიუჭორი** — სამინისტროს თავსმჯდომარე და იუტიციის მინისტრი, დაიბადა 1798 წელს. ლუი-ვილიამს დროს მინისტრად იყო; იყო აგრეთვე მინისტრად შებენის რევოლიუციის შემდეგ 1849 წელს. როცა 2 დეკემბერს 1851 წელს ნაპოლეონმა სახელმწიფო ძალ-დატანებითი ცვლილება მოახდინა საფრანგეთში, დიუჭორმა მიატოვა სამსახური და ადვოკატობა დაიწყო. 1868 წელს მარის დეპარტამენტმა ამოირჩია ის ძანონმდებელი პრეზიდენტად.

**მიანიობის შემდეგ ტიერმა დანიშნა** დიუჭორი იუსტიციის მინისტრად, და ამ თანამდებობას ასრულებდა 1873 წლის 24 მაისამდინ, სანამ თვითონ ტიერმა არ დაანება თავი რესპუბლიკის პრეზიდენტობას.

ადრე დიუჭორი ორლენისტი იყო; ახლა კი იმ პირთ ეკუთვნის, რომელნიც დარწმუნდნენ, რომ ამ ჭამად საფრანგეთში მხოლოდ რესპუბლიკურ მმართველობას შეუძლიან დამკვიდრება და ამის გამო ერთხელვე დადგინდნენ მმართველობასა და კონსტიტუციას გულ-წრფლად ემსახურებიან.

**მარსერი** — შინაგანი საქმეების მინისტრი, დაიბადა 1828 წელს. პოლიტიკურ ასპარეზზე 1871 წელს გამოვიდა, როცა დეპუტატად იყო ამორჩეული. შულ-სიმონის სამინისტროს დროს, 1876 წელს, ის იყო აგრეთვე შინაგან საქმეთა მინისტრად. თავიდანვე მარსერი რესპუბლიკურ პარტიას ეკუთვნოდა და ახლაც იმის მომხრეა.

**მადინგტონი** — უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრი, დაიბადა 1826 წ. სწავლული კაცია, პროფესორი. მადინგტონი უფრო თანაურგონობს კონსტიტუციურ მონარქიასა, მაგრამ ახლა რესპუბლიკას მიემხრო. 1873 წ. (ტიერის დროს) და 1876 წელს (დიუჭორის დროს) ის იყო სახალხო განათლების მინისტრად. მადინგტონი პროტესტანტია და იმის დანიშნვა განსაკუთრებით არ ეჭაშნიკათ კლერიკალებს.

ბარდუ — სახალხო განათლების მინისტრი, დაიბადა 1831 წელს. ადრე ადვოკატობდა; 1871 წელს დეპუტატად ამოირჩიეს. მუდამ რესპუბლიკის მომხრე იყო და არის. ბარდუ დახელოვნებული მწერალია და კარგი ორატორიც.

**ლეონსე** — ფინანსის მინისტრი, დაიბ. 1826 წ., გამოჩენილი ეკონომისტი და შესანიშნავი მცოდნე ფინანსებისა. ტიერის დროს 1872 წ. მინისტრად იყო.

**ტესსერან-დ-ე-ბორ** — ვაჭრობისა და მეურნეობის მინისტრი, დაიბ. 1814 წ., გამოჩენილი ინჟინერია და გულწრფელი რესპუბლიკელი. ადრეც ორჯერ ყოფილა ვაჭრობის მინისტრად ტიერისა და დიუჭორ-რიკარდის დროს.

**ჩრეისინე** — საზოგადო მუშაობის მინისტრი, დაიბ. 1828 წ. აგრეთვე გამოჩენილი ინჟინერი და მოგზაური; ამხანაგი იყო მაშეტასი: 1871 წელს ბერმანიასთან ომის დროს სამხედრო საქმეებს განაგებდა. სხვათა შორის ჩრეისინე შესანიშნავი მწერალიც არის.

**ლენ. ბორელი** — სამხედრო მინისტრი — კარგი მცოდნე სამხედრო საქმეებისა; პოლიტიკაში არ ერევა და საზოგადოთ იმ ჰაზრისაა, რომ პოლიტიკა სამხედრო ხალხის საქმე არ არისო.

**მიცე-ადმირალი პოტუი** — ზღვის მინისტრი — დაიბ. 1815 წ., ტიერის დროსაც იყო მინისტრად; ზომიერი რესპუბლიკელია. 1871 ომის დროს პარიზის დაცვაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო.

## ინგლისი

პეშტის გაზეთის ლონდონელი კორესპონდენტი იწერება ამ გაზეთში, მენამდვილად ვიცო, რომ შარშან დეკემბერში ინგლისსა და მსმალეთს შუა საიდუმლო მოლაპარაკება იყო იმის თაობაზედაო, რომ ამ უკანასკნელ სახელმწიფოს პირველისათვის 50 მილიონ მანეთად მიეყიდნა ან დაევირავებინა მთელი თავის სამხედრო ფლოტიო.

„მე არ ვიცო, ამბობს კორესპონდენტი, როგორ გაათავეს ამათ ამ საგანზე ერთმანეთში ეს მოლაპარაკება; მაგრამ, თუ ინგლისმა თავის სურვილი შეასრულა, მაშინ რუსეთთან მორიგების საქმეს სულ სხვანაირი ხასიათი მიეცემა.

## ოსმალეთი

ძიდევი დაიწყეს გაზეთებში ახლა მითხალ-ფაშის სტამბოლში დაბრუნების თაობაზე ლაპარაკი. მენის „Presse“-ს სწერენ, სხვათა შორის სტამბოლიდამ, რომ ხონტპარი დათანხმდაო, რომ ამ გამოჩენილ კაცს სტამბოლში დაბრუნების უფლება მიანიჭოსო, რადგან იმედი აქეთო, რომ, მტერთან მორიგებას შესახებ სჯის დროს, ის მსმალეთს გამოადგებაო.

მინ არის ამაში ბრალი? სასწავლებლის ზედამხედველი, მ. დეკანოზი მიქოძე, რომლისგანაც შევიწროებულთა სასწავლებელი და რომელიც, როგორათაც უწინ, აგრეთვე ეხლა, არაერთარ ყურადღებას არ აქცევს სასწავლებელს. მ. დეკანოზი იმისთვის არ იწერავს მასწავლებლებს და არა ყიდულობს სასწავლებლისთვის საჭირო ნივთებს, რომ დანარჩენ ფულებს თავის სახლის ქირისათვის ინახავს, რომელშიაც, ოცდაათ თუმანს მაგიერ, ეხლა იღებს ასოც თუმანს (1,200). ძარგი წყარო იზოგნა ზედამხედველმა სახლების ქირის გადასახდელად!

ამ დალოცვი ზედამხედველს, ერთი თანამდებობის მკვირ, მოუყიდნია ხელი რამდენიმესათვი და ვერც ერთის აღსრულება კი ვერ შეუძლიან. ბარდა იმისა, რომ ის არის ზედამხედველად შემოხსენებულის სასწავლებლისა, თანამდებობა, რომელიც არის უმძიმესი ტვირთი და რომლის გამოც არც ერთს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს კანონის ძალით არა აქვს ნება აღასრულოს სხვა რაიმე თანამდებობა რომელსავე უწყებაში, — ის არის მასწავლებლად საქალაქო სასწავლებელში, რომელშიაც უჭირავს 13 ვაკეითილი კვირაში, არის ბოლოჩინათ შუროის ეპარხიაში, არის მზრუნველი ბახვის სასწავლებლისა, ის არის კიდევ კათედრის სობორის დეკანოზი! მართალია, ამოდენა თანამდებობის აღსრულება შეუძლებელია ყოველ კაცისათვის, მაგრამ შემოხსენებულ პირს რომ გამოუჩნდეს სხვა სამსახური, სხარულით მიიღებს, თუ კი ეს ახალი სამსახური ახალ ფულს შესძენს იმას...

ნუ თუ ამისთანა მიზეზებით არ ავხსნათ უნაყოფლობა სასწავლებლისა, რომელიც რამდენიმე ათი წელიწადი იყო მის ხელში?

ამ რამდენიმე წლის წინეთ ზედამხედველს ჩვეულება ჰქონია, შევირდები სწავლის დროს შეერეკნა თავის ბაღში და მიწა ეთოხნინებინა.

დრო არის მიატკიოს კაცმა ყურადღება ყველა ამ გარემოებას, რადგან ეს არის მიზეზი უნაყოფლობისა და შხამი ყველა კეთილ თესლისა, რომელსაც არ აძლევს ნებას გამოიღოს შტო და დაიხსას კეთილი ნაყოფი.

მზურგეთის სასულიერო სასწავლებელში იზრდება თითქმის ორასი ყმაწვილი, რომელთაც მომავალი ბედნიერება დამოკიდებულია ამ სასწავლებელზედ...

მ. ბორდელაძე

